19.06.2023 წ.

ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი ს/კ 01.10.13.016.164

ასაშენებელი საოფისე შენობის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე საოფისე შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, გიორგი სააკაძის II გასასვლელი ს/კ 01.10.13.016.164 საოფისე შენობა 6 სართულიანია 2 მიწისქვეშა სართულით.

მშენებარე შენობას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან დაახლოებით 2 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 3 სართულიანი შენობა, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.13.016.062, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს დაახლოებით 14 მეტრის მანძილზე ესაზღვრება სამანქანო გზა, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს დაახლოებით 10 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 7 სართულიანი საოფისე შენობა, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.16.016.073, სამხრეთ-დასავლეთ მხარე დაახლოებით 22 მეტრის მანძილზე ესაზღვრება სამანქანო ბოქსები მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.13.016.060

საოფისე შენობის გეგმარებითი პარამეტრები:
კონსტრუქციული პოექტის მიხედვით ასაშენებელი შენობა ღერძებში არის 36.283 X 56.600 მ; მაქსიმაური მალი შეადგენს L=7.00 მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა, მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით. სართულის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს H=3.45 მ. შენობის პირობითი ნიშნული - ±0.00, პირობითი ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული +405.50

შენობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის (ს/კ 01.10.13.016.164) გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობა 800 მმ იანი რკბ-ის ხიმინჯებით ეფუძნება ძირითად ქანს ფენა-3 -ს R_c=14 მპა.

გავლენის შესამცირებელ ღონისძიებად პროექტით გავალისწინებულია შენობის ხიმინჯების მეშვეობით კლდოვან ქანზე დასმა, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს დატვირტვების გადამტანს.

ქვაბულის მოწყობის დაწყებამდე მშენებარე შენობის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ მხარეს გათვალისწინებულია Ф800 მმ დიამეტრის რკბ-ის ხიმინჯებით ქვაბულის გამაგრება.

<u>დასკვნა:</u>

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში და ასევე პროექტით გათვალისწინებული ქვაბულის გამაგრებითი სამუშაოებიდან გამომდინარე ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობები: 01.10.13.016.062, 01.10.16.016.073 და 01.10.13.016.060), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე